

3
1955

რესპუბლიკის ზოგიერთი შაბტის შესასვლელთან დადგმულია ვარსკვლავები. როცა შაბტი ტეგმას წარმატებით ასრულებს, ვარსკვლავები განათებულია.



ბანძელაძისა

— შართალია. გეგმა არ სრულდება ჩვენთან, მაგრამ სამაგიეროდ ენერჯიას ვზოკავთ.

— ჩვენთან კი დიდი ენერჯია იზარჯება ამ ვარსკვლავებზე გასანათებლად.

ს ი ა ს ბ ი



დროს გავიგე, რომ შენი შვილი VII კლასში დარჩება.

ამ ამბის გაგონებაზე ნაცნობი მხიარულად მოეხვია კირპის:

— ბედნიერება და სიხარული ნუ მოგეშალოს, ჩემო კირპი! მე ისევ მეექვსე კლასში მეგონა ჩემი შვილი!..

ბანსხავევა პიძაბსა და მოუკაბს შორის
კირპის ჰკითხეს:

— რა განსხვავებაა ექიმსა და შოფერს შორის?

კირპიმ უპასუხა:

— განსხვავება ისაა, რომ ექიმს არ სურს რაიონში წასვლა, შოფერი კი, შესაძლებლობის მიხედვით, ყველა რაიონს დაივლის თავისი მანქანით და თან მრავალი სტუდენტი მიჰყავს.

აგაუ იოლი რა არის?

კირპის ჰკითხეს:

— კირპი, ეთქვათ, ვინმეს სტატიის დაწერა უნდა და არ შეუძლიან, არასგზით არ განოღის. როგორ უნდა მოიქცეს?

კირპიმ ჩაიციხა:

— ამაზე იოლი რა არის?.. აიღოს მაკრატელი, ერთი პატარა შუშა წებო, ძველი გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გროვა: შემდეგ დაჭრას, დაამონტაჟოს, დააწებოს. ბოლოში თავისი გვარი მოაწეროს. მორჩა და გათავდა!

— სულ ეს არის?

— სულ ეს არის!

მხატვარი ი. ახუნდოვი



— ნუფუ მართლა ასე ვაიზარდა ქათმების რაოდენობა?

— რა თქმა უნდა, შარშან მხოლოდ 5 ქათამი გვყავდა, წელს კი 25 გვყავს.

ბ. მელიძე

ერთხელ...

გადავა გამოცდებისათვის

კირპი ერთ სტუდენტს შეეკითხა: — როგორ მიღის მეცადინეობის საქმე?

— მეცადინეობა დამთავრდა. — მიუგო სტუდენტმა, — ახლა მე გამოცდებისათვის ვემზადები.

კირპი შეეკითხა:

— თავს როგორღა გრძნობ?

სტუდენტმა თვითკმაყოფილებით უპასუხა:

— კარგად. ჯერჯერობით ორ მასწავლებელთან გამოცდებზე შუამავლები.

გადავალა აგა

ერთხელ კირპი თავის ნაცნობს შეხვდა და უთხრა:

— არასასიამოვნო ამბავი უნდა გითხრა.

აღელვებული ნაცნობი შეეკითხა კირპის:

— რა მოხდა?

— სკოლაში ვიყავი, — უთხრა კირპიმ, — დირექტორთან საუბრის



მხატვარი კ. ქიანაშვილი

— ამხანაგო დირექტორო, პირდაპირ აღარ ვიცი რა უნდა ვუყოთ ამ რაციონალიზატორულ წინადადებებს — რაც დრო გადის, ხუთ უფრო და უფრო მატულობს!..


— დიდი კარადა უნდა ვიყიდოთ, შევაწყოთ შივ და გარედან ბოქლოში დავადოთ.

აუთლ მინა

აპარეკოლოზა — „ზოგიერთობა“

გულდენი ლიბერალურ კრიტიკაზე.

„ამ ტრიბუნებიან ვამბობ ხმაშალა — ზოგიერთ მწერლის ზოგიერთ ნიგნში ხშირად შეხვედები ისეთ შეცდომებს მუშაობაში ძირს გვითხრის, გვიშლის... ხშირად თუ არა, ოდეს თუ მარად, ისეთ მოვლენას შეეფეთები, არის უნიჭო გამოვლინება რომანისა და ლექსის კეთების. ზოგიერთები, ამხანაგებო!.. ზოგიერთების სიტყვის გორება, ჩვენ ვხედავთ არის ზოგიერთების ზოგი შეცდომის განმეორება.“
უთქვათ გულაბდიად: ზოგად ფრაზებით ზოგი ხარობს და ზოგი ერთობა, მოგვებურდა, დროა ბოლო მოელოს ზოგიერთების „ზოგიერთობას“. ზოგიერთებზე ვამბობ ზოგადად „ზოგიერთობის“ რადგან შრავადი, ნუ არის სიტყვა „ზოგიერთები“ ზოგის კრიტიკის გამოსავალი. როდესაც ვამბობ „ზოგიერთები“, ჩემი ლექსით და პოეტის ენით, მინდა განვკურნო შეპყრობილები „ზოგიერთობის“ საშიში სენით.



— ღღესაც გამოვივლის ვინმე, წახვალ, დაიკარგები, დაფრები, გააღეშები...
— შენს პირს შაქარი!



საბავშვო ბაღი აბარაკზე
დილის გამაშხნევებელი ვარჯიში

შემთხვევა ქალაქის ბაღში

ცხელა... თბილისის რუკას გონების თვალთ ვათვალიერებ. მინდა წავიდე სადმე, გავერთო, კულტურულად დავისვენო. ფილარმონიის ბაღში გუშინ ხულიგნებმა კინალამ გამლახეს. კომკავშირის ხეივანში რესტორნის გარდა აღარაფერი დარჩა. ლისის ტბაზე საკუთარი მანქანით თუ წახვალ, მეტი მანქანა არ გამაჩნია.

ერთ-ერთ უფასო ბაღში შევედი, ქალაქის ბაღში, სადაც უბრალო, უპრეტენზიო ადამიანები სხედან და ქუქუქებენ. სკამზე ჩამოვჯექი. ჩავფიქრდი და...

ეს რა საოცარი შემთხვევაა! ჩემსკენ აწ განსვენებულ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი მოემართება. მსახიობი ნატო გაბუნია, ვანო სარაჯიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი!.. აგერ, ჩვენი საამაყო მწერლები: ბარათაშვილი, ილია, ვეჯა ფშაველა, გრიბოედოვი, ყაზბეგი, გოგებაშვილი, დანიელ ჭონქაძე... მოდიან. უკან არსენა ოძელაშვილი მოსდევთ, ცხენზე ზის.

პირველად დანიელ ჭონქაძე გამოძეღა-პარაკა:

- ყმაწვილო, აქ რატომ ზიხარ?
- როგორ, ბატონო დანიელ, აკრძალულია აქ ჯდომა?
- არა, მაგას არ გეუბნები, აქ ჩემი ძეგლი უნდა იდგას. მრავალი წლის წინათ დაადგინეს ეს. ძეგლის მაგიერ თქვენ ჩამომჯდარხართ, შუბლზე თითი მიგიდიათ. ჩაფიქრებულხართ და ნამდვილ ქანდაკებას ჰგავხართ. არ გეკადრებათ, ყმაწვილო!
- დიდი ბოდიში, პატივცემულო დანიელ, — ფეხზე წამოვიჭერი, — არ იფიქროთ, რომ მართლა აგრე გავკადნიერდი. მე აქ მხოლოდ დასასვენებლად გეახელით, თორემ რა საფიქრებელია...

შემდეგ დიდი ილია მომიახლოვდა:

- ვინა ხარ, ყმაწვილო? — მკითხა.

მე უბის ჯიბეზე ხელი ვიტაცე, მწერალთა კავშირის საწევრო წიგნაკი ამოვიღე.

— მწერალი ყოფილხართ, სასიამოვნოა, — ბრძანა მან, — იქნებ გავგონილი გაქვთ, დადგენილება იყო გამოტანილი ჩვენთვის თბილისში ძეგლების დადგმის თაობაზე,

ხომ არ იცით, რა იქნა ეს დადგენილებები?
— თბილისის საბჭოს მუშაკთა მაგიდის უჯრებში ინახება.

- ჯერ ხომ არ დაუკარგავთ?
- არა, ნამდვილად ვიცი, რომ შენახული აქვთ.
- ბარაქალა, ბიჭებო! ვიცოდა რომ არ დაკარგავდნენ... — ჩილაბარაკა დიდმა ილიამ და გზა განაგრძო.

ვანო სარაჯიშვილმა შორიახლოს ჩაინიარა და ჩაილიღინა:

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერი“...
იგი ამ შემთხვევაში, თავის ბიუსტს

გულისხმობდა, რომლის დადგმის შესახებ დიდი ხანია დადგენილება არსებობს დიას, არსებობს...


არსენა ოძელაშვილმა ამაყად გადმოხედა თავისი ლურჯა ცხენიდან და გადმოძახა:

- ღის შვილო, თბილისის საბჭოს მუშაკებს გადაეცი, თავად გახლავართ არსენა-თქო! — თქვა ეს და მერანი გაქუსლა.

ცხენის ფეხის თქარათქურზე გამომეღვიძა.

ეჰ, რა ცუდია, რომ მარტო მე გამომეღვიძა!

გია



საფლავის ქვის წინა მხარე.



იმევე ქვის უკანა ხელი

თელავის საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა თავისებური პანთეონი მოაწყოს — თითო საფლავზე ორი ან სამდენიმე გამოჩენილი მოღვაწის ძეგლი აღმართოს. ჯერჯერობით ერთ ოთხკუთხა საფლავის ქვაზე ორი მწერლის გვარია ამოკვეთილი — იოსებ ღავთაშვილი და ბარბარე ჯორჯაძე. ამავე ქვაზე დარჩენილია კიდევ ორი ვაკანტური ადგილი და უახლოეს ხანში შეივსება. საქალაქო საბჭო აცხადებს კონკურსს მრავალწახნაგოვანი ძეგლების პროექტზე, რათა საშუალება მიეცეთ მეტი მოღვაწეების გვარები დახტონ თითო ქვაზე.



ნიანგმა თავის ზეგობარ მხატვრისაგან მიიღო ასეთი იეროგლიფური წერილი.

ეს წერილი ნიანგმა შემდეგნაირად წაიკითხა:

- 1 სალამი 2 ხანატრელო 3 ნიანგო. 4 ბავშვმა 5 სამშაურისანი გადაუღაპა. 6 ხმა ჩაუხხა. 7 წამალი
 8 ვერ ვწვოვ. 9 ასე მოხერხე ერთი კვირის შემდეგ გამოიარეო. 10 თბილ 11 ტილოებს ვადებო. 12 გამზ-
 რალი ვარ. 13 ექიმი 14 ორჯერ მოვიყვანე. 15 არ ვიცი რა წყალში ჩავვარდე. 16 მიშველე.
 17 ლუბუ 18 დათოსძე 19 მელია.



ერთი კვირის შემდეგ იმავე ზეგობრისაგან მოვიდა დებეშა:

ნიანგმა ეს დებეშა ასე წაიკითხა:

- 1 ბავშვი კარგად არის. 2 შეორე ჯგუფში გადავა მალე. 3 ლუბუ.

ნოდარ დუმბაძე

ნახ. ზ. ლუფავასი



- ვინ არის ეს კაცი?
 — მარად ახალგაზრდა პოეტია, მისგან დიდად ვართ
 დავადებულნი.
 — როგორ, ახალი რამე დაწერა?
 — არა, წერას თავი დაანება!.

დ ე ქ ს ი კ ო ნ ი

„არაგვი“ — რესტორანი. აქ მხოლოდ არაგვის წყალს ხმარობენ ლეინოში. სხვაგან სხვაა. მაგ. „ნად კუროი“-ში — მტკვრისას, „დარიალში“ — თერგისას...

დალაქი — აგინებენ მხოლოდ მამაკაცები.

ენციკლოპედიური განათლება — მიიღება ენციკლ. ლექსიკონის ფურცელით. ანიტონაც თუ იზრდება ხელისმომწერთა რიგები.

მადლობა — ურცხვად ითქმის ტაქსის შოფრისაგან, როცა 25-მანეთიანს აძლევ და ხურდას ელოდები.

მილიციელი — თავაზიანი პიროვნება. განსაკუთრებით გულთბილად ესალმება ტრამვაის უკანა ბაქნიდან ჩამოსულ მგზავრებს.

შე მხეცო! — ზოგჯერ მხეცსაც მიმართავენ ხოლმე.

ოფიციალტი — 4 არითმეტიკული მოქმედებისაგან ახსოვს მხოლოდ მიმატება და ისიც ირასწორად (შაინც იოლად გამოდის).

პრეისკურანტი — კედელზე არ ჰკიდებენ. თუ ხეზე რომ ჰკიდიათ, ისაა.

პროტექტორი — გამოცდის წინ ნახე.

ხაჩივრის წიგნი — მოსახლეობის ზუსტი აღმრიცხველი, ზოგიერთ მალაზიათა ახლომანლო.

წონის ერთეული — გამყიდველის თითი, (მერყეობს 100-დან 200 გრამამდე).

წყალი — მაქსიმალური დოზითაა: კიტრში, ლეინოში; მცირე რაოდენობითაა: ონკანში, წყლების მალაზიებში.

შეიდგინა ბარლი თაყაიშვილმა

ვახუშტის

ცნობილია, რომ შოფრების მთელი არმია კატეგორიებად იყოფა. კატეგორიების მიხედვით იყოფიან რაჭა-ლეჩხუმის გზებზე მონუშავე შოფრებიც; მაგრამ აქ საუბარი გვაქვს იმ კატეგორიებზე, რომლებიც ლენინსთან დაბოკიდებულუბაში წელავენ:

კატეგორია № 1. ამ კატეგორიას ეკუთვნის შოფერი, რომელიც ქუთაისიდან მზის ამოსვლისთანავე დასძრავს მანქანას (ვთქვათ, ონის მიმართულებით), გზაზე რომელიმე საკომიუნერო სავაჭროს, ან სასადილოს წინ ერთბაშად დაამუხრუჭებს, გადმოვა მგზავრების წარმომადგენლებთან ერთად, შვევა სასადილოსა თუ სავაჭროში, მგზავრების (ზოგჯერ საკუთარ) ხარჯზე მოითხოვს ლენინს, გადაჰკრავს რაღაც სამ-ოთხ ლიტრა ტვიზურ თეთრს და არხენად გააგრძელებს გზას; ლენინს სიმაგრის მიხედვით. თანდათან მოუმატებს სისწრაფეს, მგზავრებს ერთიანად ჩაუნგრევს გულ-მუცელს. ხოლო მანქანას — დრეკადოებს, გზაზე შემხედომ ქალიშვილებს „ხუმრობით“ დაუბირისპირებს მანქანას, რასაც თან მოჰყვება ამ ქალიშვილების წვილი-კივილი და უფსკრულზე მიმდგარი მანქანის უეცარი დაძვრუქება; ამ უკანასკნელს კი ზოგჯერ მოჰყვება ახლად დაყენებული საბურავების გასკიდობა და მათი გულისგამწყვალებელი ბერვა, როგორც ეს ერთხელ, ნავალითად, „ცნობილ“ იატაფას“ (ანდრო იოსელიანს) დაემართა ბარაკონის ახლოს. სამი-ოთხი რა არის, იატაფა თუნდაც ათს გადაჰკრავს, მაგრამ ონში მაინც ცოცხალს ავიყვანს, მხოლოდ ეგ არის, თუ მოეხასიათა, შესაძლოა შეგაგინოს.

კატეგორია № 2. ამ კატეგორიისანი წარმოსადგეობით დიდად ჩამორჩებიან იატაფას, მაგრამ ყველას აქარბებენ ლანძღვა-გინებაში. რაც მთავარია, ისინი ცდილობენ ლენინს სმაში გაუტოლდნენ იატაფას, მაგრამ რადგანაც მასოდენი შეძლება არა აქვთ. ხელაღვე წიწილივით წყდებთ კისრები, და სულ ადვილი შესაძლებელია გზის გადაღმა გადააფრინონ მანქანა.

ამ კატეგორიას ყველა მუხლში განეკუთვნება, ნავალითად. შალვა გრძელიშვილი, უწმაწურობის ნამდვილი ოსტატი, რომელიც, მიუხედავად მრავალი ავარიისა, არხენად ზის ნანქანაზე და მინდობილი აქვს ადამიანების სიცოცხლეს.

ამ კატეგორიას ეკუთვნოდა, და ამიტომაც ალარსად ჩანს, ამ გზაზე მონუშავე ბევრი შოფერი.

კატეგორია № 3. ესენი შედარებით თავშეკვებულნი არიან, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ძალას ვერ გაზომივენ და მეორე კატეგორიის შოფრებით რისკზე აგდებენ მგზავრებისა და საკუთარ სიცოცხლეს. ამ კატეგორიაში შეგვიძლია დავასახელოთ; ნავალითად. ვანო ქარბაძე, გენო გოგობერიშვილი, პარმენ დგვარელი, ლადო ორდენიძე და ბევრი სხვ., რომელთაც, თუ ლენინზე მიდგება საქმე, ყოველთვის შეუძლიათ და ნებისყოფა შესწევთ ზუსტად დაიცვან ზომიერება, ხოლო მგზავრებს არასოდეს არ მიაყენონ შეურაცხყოფა.

დასახელებული სამივე კატეგორიის წარმომადგენლები ერთ რამეში მაინც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ყველას ერთნაირად უყვარს ფული და მგზავრების „კუდიმდე გატყავება“, თუკი ამას მოახერხებენ; ანდა, რა ენაღვლებათ, ავტონისპექტორები დაუშლიან თუ რა!..


კატეგორია № 4. ამ კატეგორიის წარმომადგენელი, მგზავრობის დროს. სრულიად არ ეკარება ლენინს და მგზავრებსაც არ ახდევინებს დაწესებულზე ზეტ ფასს, ამასთან არის სამაგალითო ყოფაქცევისა. სამწუხაროდ, ამ კატეგორიაში ყველა ვაკანტური ადგილი თავისუფალია და არავინ იცის როდის შეივსება!..

შ. ხიხთაძე



წყალი მონილა


ნავის მონილა



ამ ფოტოებზე თვალსწრაფად არის ნახვები თბილისის კიროვის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშაობის სტილი და თავისებურება.

უელაბოვისა და ვერცხლის ქუჩის კუთხეში მდებარე სახლი (ფოტო № 1) უკვე ხუთი წელია, რაც ავარიულ მდგომარეობაშია, ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილია. როგორც ვაგიფეთ, საბინაო სამმართველოში ამჟამად მზადდება პროექტი ბიჯეტის შეცვლისა, იმ ვარაუდით, რომ ახლმა ბიჯეტში კიდევ ათ წელს გაუძლოს წვიმასა და ავტარს.

ფოტო № 2 და № 3-ზე გამოხატული ერთი და იგივე სახლის (პრესის ქ. № 2) გარეთა და შიგნითა ხედი. ამ სახლის რემონტი დაიწყო ა. ვ. 12 ივნისს, დაკრითი წესით აშკარად აივნის იატაკი და კიბე, მერე კი მუშაობა შეჩერდა. როგორც გადმოვცემენ, საბინაო სამმართველოს უფროსი ხიმონ სვანიძე და სახლმშენებელი ვახილ ხელაშვილი სპორტის მოყვარულნი არიან და მცხოვრებლებს აკრობაბულ ხელაშვილებს აჩვენენ. მათივე გონივრული გადაწყვეტილებით ისეთივე მდგომარეობა გაგრძელდება სექტემბერ-ოქტომბრის თვეებშიაც, რათა აგარაკებიდან დაბრუნებული ბავშვებიც შეაჩვიონ სპორტის ამ წარმატებულ სახეს.



საქართველოს სსრ-ის წიგნების აკადემია
№ 266
14/11

რედაქტორი — ვახტანგ ქელიძე.

საბეჭდაველი კომპანია: ა. ხელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორღლა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილის. სატირპიკო-იურიტიკური ჟურნალი „ნიანგი“, რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 16, ხელმოწ. დასაბ. 27/VIII-1955 წ. ქალ. ზომა 70x108 1/4, 0,5, ნახ. ფურც. 187. „სარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შვევ. № 1415 უფ. 05385 ტირ. 25.000



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ტიტო, აბა მითხარი რაიმე რთული წინადადება.
 — ახლავ, მამა. „პირველ სექტემბერს, სკოლაში რომ წავალ, ყველა სახელმძღვანელო შეკნება“